



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1178

30 / აგვისტო / 2019 წ.



KA000069600264419

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 თებერვლის N04/239 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2019 წლის 13 აგვისტოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს განცხადებით მომართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მფლობელმა ინდ/მენარმე „კახა ლაკიამ“ და მიუთითა, რომ შეცვალა ავტოსატრანსპორტო საშუალება და წარმოადგინა შეცვლილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაცემები: ავტოსატრანსპორტო საშუალების მოდელი MERCEDES-BENZ SPRINTER 312 D, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB9034631P788140, სახ. ნომერი XP-311-PX.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის №13/15 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს შეცვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალება, მისი სახეობის, სტანდარტების, ამ წესისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, ტექნიკური პირობების შეუცვლელად. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ეს ცვლილებები აცნობოს ნებართვის გამცემს დაუყოვნებლივ. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნებართვის გამცემი კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ორგანოს, ე.ი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს „ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 თებერვლის N04/239 ბრძანებასა და 2019 წლის 25 თებერვალს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის №000081 მონმობაში (ნებართვის მფლობელი - ინდ/მენარმე „კახა ლაკია“).


გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 თებერვლის N04/239 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-10 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით: ინდ/მენარმე „კახა ლაკია; პ/ნ 39001004217; ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი MERCEDES-BENZ SPRINTER 312 D, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB9034631P788140, სახ. ნომერი XP-311-PX, მარშრუტის №9; მართვის მონმობის NCH0520376).

2. შევიდეს ცვლილება ინდ.მენარმე „კახა ლაკიაზე“ გაცემულ ქალაქ ფოთში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის № 000081 მონმობაში, ამ ბრძანების პირველ მუხლში მითითებული მონაცემების შესაბამისად.
3. ბრძანებაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით გატარდეს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
4. ცვლილების შეტანიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს ინფორმაცია ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: გამოიკრას საჯაროდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ.გვერდზე <http://www.poti.gov.ge>.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გოჩა კურდღელია